თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7596451

ნომერი: AR11103934

თარიღი : 11.08.2025

გაცემის თარიღი : 19.08.2025

გაცნობის თარიღი : 19.08.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის II შესახვევი, N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ფანჯაკიძე პ/ნ 01023003478
- მედეა ჩახავას ქ.4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 3 ივლისის №7538234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 11 აგვისტოს №AR11103934 განცხადებით მომართა დავით ფანჯაკიძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 3 ივლისის

№7538234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 3 ივლისის №7538234 ბრძანებით, №01.14.05.007.217 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალფუნქციური კომპლექსის (ბლოკი №5, კორპუსი „გ“) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 3 ივლისიდან 2026 წლის 3 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2025 წლის 24 ივლისის №7566978 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 3 ივლისის №7538234 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდა 8989.4 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 215.8 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად ცალკე დაფიქსირდა „გ“ კორპუსისთვის (ბლოკი №5) განკუთვნილი ღია ავტოსადგომის 582.7 კვ.მ. ფართობი და შეთანხმებული -2.800, +69.310 და 0.00 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2025 წლის 15 ივლისის №AR11100171 განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2025 წლის 3 ივლისის №7538234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ავტოსადგომის 53.9 კვ.მ. ფართობის ამოღებას. ხოლო, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად 8944.4 კვ.მ-ის ნაცვლად 8884.5 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო ობიექტისთვის საერთოდ არ არის გათვალისწინებული ავტოსადგომის ფართობი, შესაბამისად შესაძლებელია აღნიშნული ფართობის ამოღება მთლიანი საპროექტო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობიდან. აღსანიშნავია, რომ ავტოსადგომის ფართობის ამოღება, გამოიწვევს მთლიანი საპროექტო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის დაზუსტებასაც და შეადგენს არა 8884.5 კვ.მ-ს, როგორც მოთხოვნის ტექსტშია დაფიქსირებული, არამედ 8935.5 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 3 ივლისის №7538234 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 3 ივლისის №7538234 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნეს ავტოსადგომის 53.9 კვ.მ. ფართობი. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობად დაფიქსირდეს 8935.5 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 3 ივლისის №7538234 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 3 ივლისის №7538234 და 2025 წლის 24 ივლისის №7566978 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.